სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

31649346032812

# საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

## რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

**N120055951**

რეგისტრაციის თარიღი

**23.01.2012 წ**

ნოტარიუსი: ნინო გახოკიძე
მისამართი: ქ. თბილისი, ათონელის ქ. 11/23
ტელეფონი: 98 21 98

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 66 19 18

**სანოტარო აქტი**
**საქართველო**

**ორიათასთორმეტი წლის ოცდასამ იანვარს**

მე, ნოტარიუს ნინო გახოკიძის სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ათონელის ქ. № 11/23-ში მომმართა: **შ.პ.ს. „კრისტალბეთი“-ს დირექტორმა – *გიორგი ახვლედიანმა,*** რომელმაც განაცხადა, რომ სურს **ვალერიან გიორგაძის** მიმართ მინდობილობის შედგენა და სანოტარო წესით დადასტურება.

მე დავადგინე **შ.პ.ს.** *„კრისტალბეთი“-ს* **დირექტორის – *გიორგი ახვლედიანის* უფლებამოსილება:** ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან შ.პ.ს. „კრისტალბეთი“-ს შესახებ, განაცხადის ნომერი: 426707; განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B12005816; ამონაწერის მომზადების თარიღი: 20/01/2012 16:12:09 საიდენტიფიკაციო კოდი: 404899160

მე დავადგინე **მისი** პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად მომმართა:

***გიორგი ახვლედიანმა*** დაბ. 16.02.1969 წ. რეგისტრირებული: გარდაბნის რ-ნი, სოფ. მარტყოფი, და მოქ. განცხ. ფაქტ. მცხ. თბილისი, ჩეჩელაშვილის 48 „ა“. პირადი № 12001018836

აღნიშნული მომეტისათვის მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა.

მე ნოტარიუსმა ნინო გახოკიძემ დავადგინე მინდობილობის შინაარსი და შევადგინე წინამდებარე მინდობილობა, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მისი შინაარსი ***გიორგი ახვლედიანს. გიორგი ახვლედიანმა*** დაადასტურა, რომ მინდობილობა სრულად გამოხატავს მის ნებას. მან ჩემი თანდასწრებით წაიკითხა და პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას:

**მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა**

**ორიათასთორმეტი წლის ოცდასამ იანვარს**

**შ.პ.ს. „კრისტალბეთი“-ს დირექტორმა – *გიორგი ახვლედიანმა*** დაბ. 16.02.1969 წ. რეგისტრირებული: გარდაბნის რ-ნი, სოფ. მარტყოფი, და მოქ. განცხ. ფაქტ. მცხ. თბილისი, ჩეჩელაშვილის 48 „ა“. პირადი № 12001018836

***ვალერიან გიორგაძეს,*** დაბ. 30. 09. 1973 წ. რეგისტრირებული და მოქ. განცხ. ფაქტიურად მცხ. ქ. თბილისი, დიღმის მასივი, 3 კვ. კორპ. 10, ბინა № 45. პირადი № 01006006201

მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

1. ***ვალერიან გიორგაძე*** უფლებამოსილია შ.პ.ს. „კრისტალბეთის“-ს სახელით, მართოს და განკარგოს საზოგადოების ანგარიშ(ებ)ი საქართველოს ნებისმიერი ბანკის ცენტრალურ და/ან ნებისმიერ ფილიალ(ებ)ში, თანხის შეტანის, გამოტანის, გადარიცხვისა და კონვერტაციის უფლებით, გახსნას ნებისმიერი ტიპის ანგარიში, ინტერნეტ ბანკით მომსახურეობის ჩართვა, ფულადი სახსრების გადარიცხვა-გატანა და შეასრულოს სხვა ნებისმიერი საბანკო - საფინანსო ოპერაციები, რაც საჭიროა საზოგადოების სამეწარმეო საქმიანობისთვის, ინფორმაციისა და ამონაწერების მიღების უფლებით ნებისმიერი თანხის ოდენობითა და ვალუტაში.
2. ***ვალერიან გიორგაძე*** უფლებამოსილია აწარმოოს მოლაპარაკებები ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, წარმოადგინოს შპს “კრისტალბეთი“-ს ინტერესები ყველა სახელმწიფო-ადმინისტრაციულ ორგანოებში, მათ შორის საქართველოს ფინანსთა სამინისტროში, შემოსავლების სამსახურში და საქართველოს ტერიტორიაზე ნებისმიერ რაიონულ საგადასახადო ინსპექციასა და მის ქვემდებარე უწყებებში დოკუმენტაციის წარდგენის, ამონაწერების აღების, კოდის მინიჭება-აღების, საბიუჯეტო გადასახადების გადახდის, შედარების აქტის და საბუთების გაგზავნის ელექტრონული ვერსიის უფლებით.
3. ***ვალერიან გიორგაძე*** უფლებამოსილია წარმოადგინოს შპს „კრისტალბეთი’-ს ინტერესები ყველა სახელმწიფო-ადმინისტრაციულ ორგანოებში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, აწარმოოს მოპაპარაკებები, დადოს ხელშეკრულებები, მოაწეროს ხელი შესაბამის დოკუმენტაციას, მიმართოს განცხადებით, მიიღოს ცნობები, მოწმობები, ასლები და სხვა დოკუმენტაცია მისი შეხედულებისამებრ.
4. ამ უფლებამოსილების განსახორციელებლად ***ვალერიან გიორგაძე*** უფლებამოსილია ხელი მოაწეროს შესაბამის დოკუმენტაციას, საზოგადოების ბეჭდის გამოყენების უფლებით, მიიღოს საბანკო და საგადასახადო ამონაწერები და შეასრულოს ნებისმიერი სხვა საჭირო მოქმედება, რაც დაკავშირებულია აღნიშნულ დავალებასთან, საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული ყველა უფლებით
5. მინდობილ მესაკუთრეს უფლება არა აქვს თავისი შეხედულებისამებრ აღნიშნული უფლებამოსილებები გადასცეს სხვა პირს მთლიანად და/ან ნაწილობრივ.
6. წინამდებარე მინდობილობა საკუთრების მიმნდობს არ უზღუდავს მინდობილი საკუთრების თავის შეხედულებისამებრ მართვისა და განკარგვის უფლებას. საკუთრების მიმნდობი უფლებამოსილია ეს მინდობილობა გააუქმოს ნებისმიერ დროს და წინამდებარე უფლებამოსილების მინიჭების შესახებ გასცეს ახალი მინდობილობა მინდობილი პირისგან დამოუკიდებლად.
7. მინდობილობა გაცემულია **ბანუსაზღვრელი ვადით და ძალაშია მის გაუქმებამდე.**
8. მინდობილობა გაცემულია **ექვს** თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი დარჩა ნოტარიუს ნინო გახოკიძის სანოტარო ბიუროს არქივში, რომლესაც თან ერთვის: 1. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან შ.პ.ს. „კრისტალბეთი“-ს შესახებ, განაცხადის ნომერი: 426707; განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B12005816; ამონაწერის მომზადების თარიღი: 20/01/2012 16:12:09 საიდენტიფიკაციო კოდი: 404899160 2. შპს „კრისტალბეთი“-ს წესდება ინახება ჩემს სანოტარო არქივში.
9. გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური ათი ლ + 2 ლარი. თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებისა, სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადებს დამტკიცების შესახებ (29 დეკემბერი, 2011 წ., დადგენილება №507) 31-ე და 39 მუხლისა

**შ.პ.ს. „კრისტალბეთი“-ს დირექტორი**
**გიორგი ახვლედიანი** _____ გიორგი ახვლედიანი

**ნოტარიუსი:** _____ /ნინო გახოკიძე/